



**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო**  
**საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**



KA011716630813020

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;  
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

# 323479

15 / სექტემბერი / 2020 წ.

**გადაწყვეტილება**

**ადმინისტრაციული საჩივრების წარმოებაში მიღებისა და ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული პირების ჩაბმის შესახებ**

**ადმინისტრაციული საჩივრების ნომრები:** 345510/17 (11.09.2020 წ.) და 349157/17 (14.09.2020 წ.)

**ადმინისტრაციული საჩივრების ავტორი:** ნინო ადამიას (პირადი ნომერი 60001007386) წარმომადგენელი ქეთევან ადამია (პირადი ნომერი 01008015801).

**გასაჩივრებული გადაწყვეტილებების გამომცემი სტრუქტურული ქვედანაყოფის/ტერიტორიული სამსახურის დასახელება:** საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის აჭარის რეგიონული ოფისი (შემდგომში - „აჭარის რეგიონული ოფისი“).

**გასაჩივრებული გადაწყვეტილებები:** სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ №882020599691-04 (03.09.2020 წ.) და №882020599673-03 (03.09.2020 წ.) გადაწყვეტილებები.

**ადმინისტრაციული საჩივრების ავტორის მოთხოვნა:** სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ № 882020599691-04 (03.09.2020 წ.) და № 882020599673-03 (03.09.2020 წ.) გადაწყვეტილებების გაუქმება, ამასთან, № 882020599691 (31.08.2020 წ.) და № 882020599673 (31.08.2020 წ.) განცხადებებზე რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება.

**უძრავი ნივთების მისამართი:** ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გონიო.

№ 345510/17 (11.09.2020 წ.) და № 349157/17 (14.09.2020 წ.) ადმინისტრაციული საჩივრების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ისინი პასუხობენ ადმინისტრაციული საჩივრის მიღებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა პირობას და მათი განხილვის დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა, და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე მუხლით დადგენილია დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, რომლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირის უფლებამოსილებას, წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე, შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის მოთხოვნით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე მუხლით დადგენილი წესით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე, 98-ე, 177-ე, 182-ე, 194-ე და 195-ე მუხლების შესაბამისად,

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

**1.** მიღებულ იქნეს წარმოებაში ნინო ადამიას წარმომადგენლის ქეთევან ადამიას № 345510/17 (11.09.2020 წ.) და №349157/17 (14.09.2020 წ.) ადმინისტრაციული საჩივრები.

2. №345510/17 (11.09.2020 წ.) და №349157/17 (14.09.2020 წ.) ადმინისტრაციულ საჩივრებთან დაკავშირებულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ იქნენ: ნატო სალვარიძე (პირადი ნომერი 61006039151), როსტომ ძნელაძე (პირადი ნომერი 61006048994), ნათია ძნელაძე (პირადი ნომერი 61006021473), ნანა ძნელაძე (პირადი ნომერი 61006021287), მაია იაშვილი (პირადი ნომერი 04001006561) და ლენა კნიაზიანი (პირადი ნომერი 01027051621).

3. ადმინისტრაციული საჩივრებისა და თანდართული დოკუმენტაციის ასლები გადაეგზავნოთ აჭარის რეგიონულ ოფისსა და ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ პირებს.

4. დაინტერესებულ მხარეებს განემარტოთ, რომ წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვთ, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნონ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადონ აცილება და ისარგებლონ დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით.


5. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. № 2), ბათუმის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩა № 7) და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ამბროლაურის საზოგადოებრივ ცენტრში და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა.

6. წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge).

7. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მხარეთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

**წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.**

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი



დავით დევიძე